საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2824/01
13/03/2020

2824-01-2-202003131543

შპს „კრწანისი როიალ რეზიდენსს“
მის: ქ. თბილისი, ა. ჯაფარიძის ქუჩა N22ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 24 თებერვლის N3238 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის (ურბანული განვითარების პროექტი-12 ჰა) სკრინინგის განცხადებას.

აღნიშნულთან დაკავშრებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და მშენებლობაზე გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ელექტრომომარაგების ქსელთან მიერთების, ასევე ელექტროგადამცემი ხაზის და ქვესადგურის მოწყობის საკითხების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი მიწის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის სავარაუდო მოცულობების და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მათი სახეობების და რაოდენობის მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების მოწყობისა და საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი გზების მშენებლობის შესახებ (პარამეტრები);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგების და წყალჩაშვების მიზნით განხორციელებული სამუშაოების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში აღნიშნულია, რომ მოეწყობა 831 ერთეული ავტოსადგომი, თუმცა სკრინინგის განცხადებაში ავტოსადგომის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსალოდნელია ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, კერძოდ მცენარეულ საფარზე. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია, ხვდება თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე ,,წითელი ნუსხით" დაცული სახეობები. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონის საქართველოს „წითელი ნუსხის“ და „წითელი წიგნის“ შესახებ მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენა ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე